

დამრიგებლის როლი მოსწავლის სოციალური უნარების განვითარებაში

მარიამი ტყაბლაძე

მარიამ შალუტაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან თოღაძე, მოწვეული პედაგოგი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

განაცხადი

”როგორც წარდგენილისადისერტაციონაშრომისავტორი, ვაცხადებ,

რომნაშრომი

*წარმოადგენს ჩემსორიგინალურნამუშევარსდაარშეიცავსსხვაავტორებისმიერ
აქამდეგამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლადმიღებულანდასაცავადწარდგენილ
მასალებს, რომლებიცნაშრომშიარარისმოხსენიებულიანციტირებული
სათანადოწესებისშესაბამისად“.*

მარიამი ტყაბლაძე/მ.ტყაბლაძე/

მარიამ შალუტაშვილი/მ.შალუტაშვილი/

27.06.2016

აბსტრაქტი

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს დამრიგებლის როლი მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებაში. სოციალური უნარები არის ბავშვის შესაძლებლობები, რომლითაც ის ურთიერთობას ამყარებს გარესამყაროსთან, ყურადღებას აქცევს უფროსებს და მასწავლებლებს და გონივრულად გადადის ერთი საქმიანობიდან მეორეზე. ჯანსაღი სოციალური და ემოციური განვითარება ადამისთვის საჭირო უნარ-

ჩვევების გამომუშავება ხმარება ბავშვებს არამხოლოდ შეიძინონ მეგობრები და შეწყონ სხვებს,

არამედ საშუალებას აძლევს, ამოიცნონ დამართონ საკუთარი ემოციები.

სოციალური უნარების გარდა, ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე: გარდატეხის ასაკის თავისებურებები, სხეულის ენა, ასერტულობა, ბრაზის მართვა, პოზიტიური შეფასება, მე - შენ შეტყობინება, კონფლიქტის მართვა.

ნაშრომი დაეფუძნა პრაქტიკული კვლევის მეთოდოლოგიას. აღნიშნული კვლევა სსიპ ქ. თბილისის #84 საჯარო სკოლაში ჩატარდა, მისი მიზანია იმ მოსწავლეების სოციალური უნარებით აღჭურვა, რომელთაც პრეტესტის მიხედვით დაუდგინდათ საშუალო ან დაბალი დონე.

კვლევა განხორციელდა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით, ე.წ ტრაიანგულაციის მეთოდით, რამაც საშუალება მოგვცა უფრო სრულყოფილად შეგვესწავლა საკვლევი საკითხები.

ნაშრომში აღწერილია ჩატარებული ინტერვენცია და ამის საფუძველზე გამოტანილია დასკვნები.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სკოლა, სოციალური უნარ-ჩვევები, ჩართულობა.

Abstract

The aim of previous work is to study, the role of head teacher in developing students' social skills and abilities. These skills and abilities give the student opportunity to contact to the society around him or her. the students pay attention to the action of the teacher and their parents and learns how to move from one action to another. Healthy social environment helps the student to gain the abilities and skills, which will help them to make not only friends but to get on well with the other people around them, find out their emotions and learn how to manage them.

Mentioned work was based on the methodology of practical research, which was held in 84th public school in Tbilisi. The aim of the research was to help the students gain social skills and abilities. Pre-test which was held show,that the students had an average and low level in social skills.

In the research were used quantitative and qualitative research methods, also known as triangular method. This method allowed us to study this case better.

In the work there is given intervention, that was held and the results of the work.

Key Words:school, social skills, involvement